[redacted]
საქართველოს პარლამენტი

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კ ო მ ი ტ ე ტ ი

№ 3232/4-6

"07" 10 2004 წ.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბ-ნ ლ. ბეჟაშვილს

კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ" და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, იმ შემთხვევაში, თუ პროექტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ გავრცელდება ქალაქში მოძრაობაზე.

პატივისცემით,

ნიკო ლეკიშვილი
კომიტეტის თავმჯდომარე

შემსრულებელი მ. ბეგიაშვილი

7

საქართველო
GEORGIA

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№01/23/05-7592
11. 10 2007

დანართი N1

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამ წლის 28 სექტემბრის №07-7/87 წერილით წარმოდგენილი კანონპროექტები „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ" უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია და იუსტიციის სამინისტრო მიესალმება წარმოდგენილ პროექტში ასახულ დებულებებს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ამის და მგზავრების მიერ მათი სრულყოფილად გაცნობისათვის, ვფიქრობთ საჭირო პროექტების ამოქმედების თარიღის გადაწევა გარკვეული ვადით (3 თვით მაინც) და ამ პერიოდის განმავლობაში კომპეტენტური უწყებების მიერ მოსახლეობაში ფართო ინფორმაციული ხასიათის საქმიანობის ჩატარება და კანონების პოპულარიზაცია.

აქვე მოგახსენებთ, რომ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში მოცემული დებულება, კერძოდ, სიტყვები: „და ორივე ხელი აქვს სატრანსპორტო საშუალების საჭესა და სიჩქარეთა გადამრთველზე", ვფიქრობთ გასაგებია.

ბესიკ ფოფლიაძე
მინისტრიეს მოადგილე

საქართველოს პარლამენტის
აპარატის სამართლებრივ
შეგროს. № 2017 4/1 12
-13- 10 2007 წ.
დეტრ.

საქართველო, თბილისი, 0146 რუსთაველის გამ. №30, ტელ./ფაქსი 75 82 37, ელ.ფოსტა: justmin@justmin.ge
30 Rustaveli ave., Tbilisi Georgia. Tel./Fax: (99532) 75 82 37, E-mail: justmin@justmin.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

380014 თბილისი გია გულუას ქ. 10 ტელ: 996296 936630 ფაქსი: 999 524
380014 TBILISI, G.GOLUA STR. 10 TEL. 996296, 936630 FAX 999 524

დანართი N2

№ 1/9577 "20" 10 2004 წ.

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან ბეჟაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა საქართველოს პარლამენტის აპარატის მიმდინარე წლის 28 სექტემბრის №07-6/87 წერილით გადმოგზავნილი თქვენს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტები და გაცნობებთ, რომ მათთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ვალდებულებად განისაზღვროს მის მარჯვენა (ან მარცხენა) მხარეს მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოყენების უზრუნველყოფა, აგრეთვე ასევე ვალდებულება დაეკისროს იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომელზეც კონსტრუქციით გათვალისწინებულია უსაფრთხოების ღვედების გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით წარმოდგენილი მე-20 მუხლის „ა'" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა') მგზავრობისას ისარგებლოს, ასევე უზრუნველყოს მის მარჯვენა (ან მარცხენა) მხარეს მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოყენება თუ კონსტრუქციით გათვალისწინებულია ასეთი სატრანსპორტო საშუალებებისათვის უსაფრთხოების ღვედების გამოყენება".

2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი ნაწილით წარმოდგენილ 118'-ე მუხლში დაკონკრეტდეს სამართალდარღვევის სუბიექტი და პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მძღოლს.

3. პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია იმ მგზავრის ვალდებულება უსაფრთხოების ღვედის გამოყენება თაობაზე, რომელიც

საქართველოს პარლამენტის
1054/12
20 10 2004 წ.
2

9

ზის მიღების მარეგულირებელ (ან მარეგულირებელ) მხარეს. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია რამოდენიმე გარემოება:

ა) კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი ვალდებულება გულისხმობს პასუხისმგებლობას მისი დარღვევებისათვის, შესაბამისად პროექტით გათვალისწინებულ უნდა იქნეს სანქცია აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის.

ბ) ამასთან შენიშვნების პირველი და მე-2 პუნქტის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამოღებულ იქნეს პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 118^1-ე და 118^2-ე მუხლების დამატებასთან დაკავშირებით, საჭიროა ცვლილება შეეიდეს 239-ე მუხლშიც, სადაც განისაზღვრება 118^1-ე და 118^2-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ოქმის შემდგენი უფლებამოსილი ორგანო. ამასთან, პროექტით უნდა დარეგულირდეს აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ქვემდებარეობის საკითხი.

პატივისცემით,

კახაბერ საყვარელიძე

მინისტრის მოადგილე

ოც. 604

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

საქართველოს პარლამენტი
თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ: 995 32 998665
ფაქსი: 995 32 921289

№ 10101/4-3
13 . 10 2004 წ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტს

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ"

კომიტეტს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია და მიაჩნია, რომ კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს როგორც მგზავრთა ასევე მძღოლთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას.

რომან გოცირიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს კონტროლის პალატა

№ 264/43 „12" ოქტომბერი 2004 წ.

თქვენს 07-6/87 ~~28.09.04 წ.~~

დანართი N3

კანონპროექტებზე შენიშვნების
და წინადადებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან ბეჟაშვილს

ბატონო ლევან,

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს განსახილველად, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადების მიზნით საქართველოს კონტროლის პალატაში შემოვიდა თქვენს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ".

ჩვენ მიერ განხილულ იქნა აღნიშნული კანონპროექტები, რაზეც შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა კალანდაძე

10133/1-15
13 10 05

თბილისი, 0144
ქეთევან წამებულის გამზ. №96
ფაქსი 77 27 99 ტელ: 95-28-99
E mail chamber@geomail.ge

საქართველოს პარლამენტი

ევროპასთან ინტეგრაციის
კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ.: 99 08 39
ფაქსი.: 99 08 39

აგ 496

დანართი №4

№ 9894/4-7

08 10 2004 წ

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტს

დასკვნა

"საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტების თაობაზე

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა კანონპროექტები "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ". აღნიშნული არ შედის საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნულ პროგრამაში.

კომიტეტს მიაჩნია, რომ კანონპროექტი სრულიად მისაღებია, თან აღნიშნავს, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში საკითხი ანალოგიურად არის მოწესრიგებული.

ამასთან, კომიტეტს გააჩნია შენიშვნა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტის ბ ქვეპუნქტთან და "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან (118^2 მუხლის შენიშვნის ნაწილი) დაკავშირებით. აღნიშნული ჩანაწერი გამოიწვევს ხარვეზს საგზაო პატრულსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობაში და ჩანაწერი "გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მოქმედებს თავისი ან სხვისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობის რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად" გახდება ეჭრობის საგანი გამომდინარე იქიდან, რომ

საგზაო პატრულისათვის მძღოლის მიერ ტელეფონზე საუბრის თემის დადგენა ძნელი იქნება.

კომიტეტი მხარს დაუჭერს წარმოდგენილი კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

პატივისცემით,
კომიტეტის თავმჯდომარე — დავით ბაქრაძე

საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია
"დამოუკიდებელი მაჟორიტარები"

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ.: 50 27 08

№ 10553/06
21 10 2006 წ

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტს

"საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა

საპარლამენტო ფრაქციამ "დამოუკიდებელი მაჟორიტარები" განიხილა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი და მის მიმართ არ გააჩნია სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები.

პატივისცემით,

ი. ჩხარტიშვილი

ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების"
თავმჯდომარე